ხელშეკრულება N527/17

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

09 სექტემბერი 2020 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა (ს/კ231263771),** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლილი ხაჩიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „თიელესი“ (ს/კ402155797), (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის სოფიო ხავთასის სახით,** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანია:

1. **(GVP : 22111000) - სასკოლო წიგნები;**

შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **200,00 (ორასი)** ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან **5 დღის ვადაში** შემსყიდველის მისამართზე (**სოფელი ფშაველი**).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2020 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა ს/კ: 231263771 სოფელი ფშაველი **დირექტორი:** **ლილი ხაჩიძე**	**მიმწოდებელი:** შპს ,,თიელესი“ ს/კ: 402155797 მის: აკ.წერეთლის გამზ 128 ტელ: 557 66 87 32 ელ-ფოსტა: info.tls2020@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი" GE67TB7549636070100002 **დირექტორი:** **სოფიო ხავთასი** LTD TLS Digitally signed by LTD TLS Date: 2020.09.09 15:52:02 +04'00'

2020 წელი

ერთი მხრივ **შპს „თიელესი“** წარმოდგენილი რწმუნებული პირი სოფიო ხავთასი და მეორე მხრივ **სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველის საჯარო სკოლის დირექტორი ლილი ხაჩიძე** ხელს ვაწერთ ამ აქტს მასზედ, რომ ჩვენს შორის 2020 წლის 7 სექტემბერს დადებული N**527** ხელშეკრულების პირობების თანახმად „მიმწოდებელმა“ გადასცა, ხოლო „შემსყიდველმა“ მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული **- სასკოლო წიგნები, (CPV–22111000**).

ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის საგნის ჯამური ღირებულება შეადგენს 200,00 (ორასი ლარი) ლარს.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ შესრულების ამ ეტაპზე პრეტენზია არ გააჩნიათ.

„მიმწოდებელი“

სოფიო ხავთასი

LTD TLS

Digitally signed by LTD TLS
Date: 2020.09.09 15:52:24 +04'00'

„შემსყიდველი“

ლილი ხაჩიძე

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის **სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველის საჯარო სკოლასა** და შპს ,,თიელესი“-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **N527** ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველის საჯარო

სკოლის დირექტორი: /ლილი ხაჩიძე/

შპს თიელესის დირექტორი: /სოფიო ხავთასი

LTD TLS

Digitally signed by LTD TLS
Date: 2020.09.09 15:52:43 +04'00'

INVOICE

07.09.2020

მიმღები

სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა

მიმწოდებელი

შპს თიელესი

მიმღები ბანკი: სს „თიბისი ბანკი"

GE67TB7549636070100002

N	Name	Code	Quantity	Price	Amount
1	ჩვენი ღირსებანი (1)	202	1	22	22
2	ჩვენი ღირსებანი (3)	560	1	23	23
3	ჩვენი ღირსებანი (5)	557	1	22	22
4	სხვა მზის ქვეყანაში	578	1	22	22
5	ჩვენი ღირსებანი (9)	153	1	22	22
6	ჩვენი ღირსებანი (11)	154	1	22	22
7	საქართველოს თევზები	205	1	20	20
8	სიკვდილთან დიალოგი	155	1	15	15
9	ქართველთა ლაშქრობა სპარსეთსა და ხორასანში	156	1	12	12
10	დინამიური საუბრის ხელოვნება	157	1	20	20
Signature					200,00
					GEL

მიმწოდებელი	მიმღები
შპს თიელესი	სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა
დირექტორი სოფიო ხავთასი	დირექტორი ლილი ხაჩიძე
ხელმოწერა Signature	ხელმოწერა Signature

LTD TLS

Digitally signed by LTD TLS
Date: 2020.09.09 15:53:03 +04'00'